

# AVON

the company for women

## ეივონის მობილური აპლიკაცია

წარმომადგენლის სახელმძღვანელო

# ეივონის მობილური ბროშურა

## წარმომადგენლის სახელმძღვანელო

### რატომ მობილური აპლიკაცია?

✓ **არ დაკარგავ კლიენტს, როცა ბეჭდური ბროშურა თან არ გაქვს**

დაათვალიერებინე ონლაინ ბროშურა მობილური ტელეფონით და შეიძინე ახალი მომხმარებელი ან მიიღე შეკვეთა

✓ **ახალი მომხმარებელი თვითონ გპოულობს**

აპლიკაცია შენი ლოკაციის შესაბამისად დააკავშირებს ახლოს მყოფ მყიდველს შენთან

✓ **მომხმარებლები გამოგიგზავნიან შეკვეთას პირდაპირ აპლიკაციაში**

შენს ნაცვლად ჩაინიშნავს თითოეულ შეკვეთას მომხმარებლის მონაცემებთან ერთად

✓ **გზავნი შეკვეთას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან**

უფრო თანამედროვე და მობილური სერვისი მომხმარებელს - ეს შენი უპირატესობაა

აპლიკაციის წარმატებით გამოსაყენებლად გაეცანით მოცემულ ინსტრუქციას

# პროგრამის დაყენება

**რომელი სისტემის მობილური ტელეფონი გაქვს?**

- თუ სარგებლობ IOS სისტემით (iPhone, iPad), **მიჰყევი ბმულს:** https://itunes.apple.com/us/app/avon-mobile/id690371456?mt=8

App Store

- თუ სარგებლობ Android სისტემით (Samsung Galaxy, HTC One, Philips Xenium, Sony Xperia, LG Optimus), **მიჰყევი ბმულს:** https://play.google.com/store/apps/details?id=air.com.avon.mobile.AvonMobile&hl=en

Google play

**იპოვე მობილური აპლიკაცია დამოუკიდებლად**

Google Play-ში https://play.google.com/store ან AppStore-ში http://store.apple.com, საძიებო

ველში მიუთითე **«Avon brochure Georgia»** აპლიკაციების შემოთავაზებული ჩამონათვალიდან აირჩიე ვარდისფერი პიქტოგრამა და დააინსტალირე აპლიკაცია. დაყენების შემდეგ, ტელეფონის ან პლანშეტის ეკრანზე გამოჩნდება აპლიკაცია **avon mobile**

AVON

*აპლიკაციის დაყენების შემდეგ ზოგიერთი მოწყობილობისთვის დაგჭირდება უფასო აპლიკაცია Adobe Air*

# აქტივიზაცია

შენს გვერდზე შესასვლელად - დააჭირე წარწერას
**«წარმომადგენლის გვერდი»**

მიუთითე ანგარიშის ნომერი და პაროლი, რომელსაც

იყენებ საიტზე„avon.ge“ პირად გვერდზე

შესვლისას და დააჭირე ღილაკს **„შესვლა“**

მას შემდეგ, რაც შეიყვან ანგარიშის ნომერს და

პაროლს, აუცილებელია მოიფიქრო ოთხნიშნა კოდი




**მოიფიქრე ნებისმიერი 4 ციფრის კომბინაცია**

გაიმეორე კოდი კიდევ ერთხელ

***შენიშვნა:*** *იმ შემთხვევაში თუ დააჭერ პინკოდის გამოტოვებას, დაგჭირდება პაროლის კიდევ ერთხელ მითითება*







AVON
the company for women

# მთავარი მენიუ

მთავარი მენიუ იხსნება მარცხენა ზედა კუთხიდან და ჩამოშლის ძირითად განყოფილებებს

- შეტყობინებები
- შეკვეთა
- ბროშურა
- სწრაფი შეკვეთა
- შეკვეთის ისტორია
- სპეციალური შემოთავაზება
- მომხმარებელთა სია



# მთავარი მენიუ

**მთავარი მენიუ იხსნება მარცხენა ზედა კუთხიდან და ჩამოშლის ძირითად განყოფილებებს**

- **შეტყობინებები** - მიიღებ ინფორმაციას სიახლეებისა და შემოთავაზებების შესახებ, ასევე, ახალი მყიდველის შესახებ, რომელსაც სურს შეიძინოს პროდუქცია შენგან
- **შეკვეთის ისტორია** - ინახავს შენს მიერ გაგზავნილი ყველა შეკვეთის ჩამონათვალს
- **სპეციალურ შემოთავაზებებში** - წარმოდგენილია ყველა ის პროდუქტი, რომელიც გვაქვს ვებ - გვერდზე სპეც. შემოთავაზებებში
- **მომხმარებელთა სია** - განყოფილება საშუალებას გაძლევს იქონიო მომხმარებლების მონაცემთა ბაზა, თვალი ადევნო მათ შეკვეთებს და ჩაინიშნო/დაარედაქტირო შენს მიერ შენახული ინფორმაცია მომხმარებელზე (მაგ. ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, სახელი)



# მთავარი მენიუ

## *მთავარ მენიუზე გადასასვლელად დააჭირეთ მარჯვენა ზედა ღილაკს*




- **გაზიარება** - ბროშურის გაზიარება სოციალურ ქსელში
- **გამოსვლა** - აპლიკაციიდან გამოსვლა, შესასვლელად დაგჭირდებათ მხოლოდ პაროლის მითითება
- **კონფიდენციალურობის დანართი** -აპლიკაციის და კომპანიის კონფიდენციალურობის დებულება

# შეკვეთის განთავსება

## შეკვეთის განთავსების რამდენიმე შესაძლებლობა

აირჩიე სასურველი ვარიანტი მთავარი მენიუდან

1. შეკვეთა
2. ბროშურა
3. სწრაფი შეკვეთა

2




1




3







AVON
the company for women

# შეკვეთის განთავსება ბროშურის საშუალებით

- ✓ **ბროშურა** განთავსებულია მთავარ მენიუში
- ✓ ბროშურის დასათვალიერებლად, საჭიროა მობილურის ეკრანზე მარცხნიდან მარჯვნივ გადაშალო ბროშურის გვერდი
- ✓ გადმოტვირთე ან დაათვალიერეთ ონლაინ რეჟიმში
- ✓ სასურველი პროდუქციის დასამატებლად, **დაადე თითი ბროშურაში შესაბამის გვერდზე** და დაინახავ ამ გვერდზე განთავსებული პროდუქტის ჩამონათვალს,აირჩიე სასურველი პროდუქტი და **დააწექი ღილაკს დამატება**



# სწრაფი შეკვეთა

შეკვეთის განთავსება შესაძლებელია,კოდის მითითებით

მთავარ მენიუში აირჩიე განყოფილება „**სწრაფი შეკვეთა**“

- **მიუთითე შეკვეთის ტიპი**:რეგულარული შეკვეთა/ ექსპრესს შეკვეთა
- **მიუთითე პროდუქციის კოდი**
- თუ გსურს განათავსო მომხმარებლის შეკვეთა , მაშინ ველში მიუთითე შესაბამისი მომხმარებლის სახლი და გვარი, მომხმარებელთა სიიდან

და დააჭირე ღილაკს „**დამატება**“



# შეკვეთის განთავსება

- მთავარი მენიუდან გადადი განყოფილებაზე „შეკვეთა“
- დააჭირე შეკვეთის განთავსებას,ან მიიღე მომხმარებლის მიერ შენთან გამოგზავნლი შეკვეთა
- პროგრამა მოგთხოვს პინის გადამოწმებას



# შეკვეთის განთავსების ბოლო საფეხურები

- **შეკვეთის განთავსების საფეხურები ანალოგიურია საიტზე განთავსებული შეკვეთის ეტაპებთან,** რაც გულისხმობს იმას, რომ პროდუქციის დამატების შემდეგ (ბროშურიდან / ან სწრაფი შეკვეთის საშუალებით) შედიხარ მარცხენა ზედა კალათში, სადაც პროდუქტებია მოთავსებული და ირჩევ ღილაკს **„დაამატე შეკვეთას“**
- უსაფრთხოების მიზნით აპლიკაცია გთავაზობს ოთხნიშნა კოდის გადამოწმებას
- გადავდივართ შემდეგ გვერდზე, მოცემულია 4 საფეხური, საიდანაც შეგიძლია დაამატო შეკვეთას: **დემო პროდუქცია, სპეციალური შემოთავაზებები, ნიმუშები, ბიზნეს აქსესუარები**
- შემდეგ გვერდზე შეგიძლია გადაამოწმო შეყვანილ პროდუქციაზე ინფორმაცია, კერძოდ: დასახელება, ფასი, მიუთითო მიმღები და იმ მომხმარებელთა რაოდენობა, რომელთაც გაუწიე მომსახურება.
- მიუთითო მიმღები იმ შემთხვევაში თუ შეკვეთას სხვა პიროვნება გაიტანს, **დაეთანხმო გამოყენების პირობებს და განათავსო შეკვეთა**











# შეკვეთის ისტორია

განყოფილებაში ასახულია ყველა ის შეკვეთა, რომელიც განათავსე საიტიდან ან მობილურიდან.

ღებულობ ინფორმაციას, ყველა განთავსებულ შეკვეთაზე (მათ შორის დასაინვოისირებელზე), ასევე დაინვოისირებული შეკვეთების ინვოისს




## შეკვეთის მონიტორინგი

PDF-ის სანახავად თქვენ გჭირდებათ 6.0 ვერსია და ზევით

დააწკაპეთ აქ Adobe Acrobat -ის ახალი ვერსიის გადმოწერა დააწკაპეთ აქ Adobe Acrobat-ის შესახებ ინფორმაცია

კამპანიის არჩევა

აირჩიე საწყისი 13/2015 ადრესატი 13/2015

## შედეგები

| კამპანია | შეკვეთის ნომერი | თავდაპირველი თარიღი | შეკვეთის ტიპი | შეკვეთის განთავსების არხი | შეკვეთის სტატუსი | შეერთება | ინვოისის ნომერი | ყუთის ნომერი | ინვოისის ჯამური გაყიდვების ოდენობა | ინვოისის მთლიანი გაყიდვების ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | M091534011 | 14/09/2015 | რეგულარული შეკვეთა | MOBILE | დაინვოისირებულია | | 115941326 | | 127,73GEL | 117,81GEL |
| 13 | M091533455 | 11/09/2015 | რეგულარული შეკვეთა | MOBILE | დაინვოისირებულია | | 115941257 | | 126,56GEL | 107,05GEL |

AVON
the company for women

# PDF – ინვოისი

PDF ინვოისის გასახსნელად

- გადადი დანყოფილებაში **«შეკვეთის ისტორია»**
- აირჩიე შეკვეთა, რომელსაც აქვს სტატუსი **«დაინვოისირებული»**
- დააჭირე ღილაკს **«ინვოისი»**




**მნიშვნელოვანია!**

PDF გაფართოების ფორმატის ფაილის სანახავად Android სისტემაზე მომუშავე მოწყობილობებისათვის დაემატება ღილაკი, რომლის დაჭერის შემდეგ PDF ინვოისი ავტომატურად ჩაიტვირთება.

# დამატებითი შესაძლებლობები

## პროფილის რედაქტირება

შეგიძლია დაარედაქტირო პირადი ინფორმაცია და მიუთითოთ მონაცემები,რომლებიც გსურს,რომ იყოს საჯარო მომხმარებლებისათვის

მთავარი მენიუდან გადადი იმ სექციაზე სადაც შენი სახელი და გვარია მითითებული

დააჭირე ღილაკს და გახსნილ ფორმაში დაამატე სასურველი ინფორმაცია



# დამატებითი შესაძლებლობები

## გაზიარება

ინფორმაცია შეგიძლია გაუზიარო მეგობრებს სოციალურ ქსელში მობილური აპლიკაციის შესახებ, ამისათვის საჭიროა გქონდეს აქტიური ფეისბუქის გვერდი, რადგან პროგრამა მოგთხოვს შენს პროფილზე შესვლას



# დამატებითი შესაძლებლობები

## პინ კოდის შეცვლა

პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების მიზნით, აპლიკაციაზე ყენდება პინი, რომელიც მხოლოდ მფლობელისთვის უნდა იყოს ცნობილი.

შესაცვლელად, გადადი მთავარ მენიუში, დააწექი პარამეტრებს და დააწექი PIN-ის გადაყენებას







AVON
the company for women

# დამატებითი შესაძლებლობები

## აპლიკაციიდან გამოსვლა და აპლიკაციის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება

- **გამოსვლა** - მთავარი მენიუ/გამოსვლა - აპლიკაციიდან გამოსვლის შემთხვევაში, ყველა ინფორმაცია ინახება იმ მდგომარეობაში, როგორშიც იმ მომენტში არის, იტვირთება გვერდი საიდანაც მხოლოდ პაროლის მითითებით შედიხარ.
- **გადაყენება** - მთავარი მენიუ/პარამეტრები /გამოსვლა, ამ შემთხვევაში აპლიკაცია იბრუნებს თავის პირვანდელ სახეს და იშლება შენს მიერ რედაქტირებული ინფორმაცია და შეკვეთა

1




2

